ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის პარასკევობით

№ 8 (64)

29 თებერვალი, შაბათი, 1992 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებერვლის ცეცხ-ცხელება

მიუხედავად ცივი ზამთრისა და ქარ-თოვლისა, საქართველოში პოლიტიკური ცხოვრება დუღს და გადმოდუღს. ყოველი დღე და კვირა აღსავსეა მოვლენებით, ფაქტებით, სანდალური და საკვირველი ამბებით, სადაც ცუდი აღემატება კარგს და სასიამოვნოს.

თუმცა თებერვლის უკანასკნელ კვირას ერთი ფრიად სასიხარულო ამბავი მოხდა. 21 თებერვალს საქართველოს ეროვნული კონგრესისა და პოლიტიკური პარტიების საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე აღდგა 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტატუცია. დეკლარაციას ხელი მოაწერეს სამხედრო საბჭოს წევრებმა, ბატონებმა ჯაბა იოსელიანმა და თენგიზ კიტოვანმა.

ამგვარად, გამოსწორდა წინა ხელისუფლების მიერ დაშვებული სამართლებრივი შეუსაბამობა. გახსოვთ, ალბათ, რომ უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს აღადგინა საქართველოს დამოუკიდებლობა, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტატუცია კი თაროზე შემოდო და მოდერნიზებული საბჭოთა კონსტატუციით ხელმძღვანელობდა.

მაგრამ ჩვენი ხსნა და წინსვლა მარტო კანონთა კოდექსით, ან დადგენილებებით არ იქნება. თუ ხელი არ გავანძრიეთ და მუხლჩაუხრელად არ გავისარჯეთ, მთელმა მსოფლიომაც რომ გვაღიაროს, ვერაფერს გავხდებით. არადა, სწორედ საკვირველია: კარგი ცხოვრება ყველას გვინდა, შრომა კი თითქმის არავის.

კახეთის რამდენიმე რაიონში, სადაც გამოკითხვა შედარებით სრულყოფილად მოხერხდა, მოსახლეობის დიდი ნაწილი უარს ამბობს მიწაზე და კოლექტივის შენარჩუნებას მოითხოვს. გლეხისაგან მიწაზე უარისთქმას მრავალი სუბიექტური და ობიექტური მიზეზი აქვს. თავად განსაჯეთ: კერძო საკუთრება რომ კოლექტიურს სჯობს, ამაზე არავინ დაობს. საქმე ისაა, რომ გლეხკაცი, რომელმაც კარგად უწყის დღევანდელი კვერცხისა და საკუთარი შესაძლებლობების ფასი, ასე ფიქრობს: თუ მარტო მიწა დამრჩა, თოხის ბაყუნით მას ვერაფერს გამოვრჩები, საჭიროა ტრაქტორი და მანქანა, რომელსაც გაყიდვა-გამოყიდვის შემდეგ ბობოლები ჩაიგდებენ ხელთ და მერე ქირაში ტყავს გამძრობენო. ვთქვათ სიმართლე, მას ეშინია ახალი ურთიერთობებისა. სანამ მისთვის ძალაუფლების საკითხი არ გარკვეულა, სანამ კანონი არ კანონობს, ღვთისანაბრად დარჩენილი, ქვეყნის სასიკეთო საქმეს ხელს ვერ მოჰკიდებს.

ამიტომ, თუ უფრო ეფექტური ღონისძიებები არ განხორციელდა, შესაძლოა მიწა მოუხნავ-დაუთესავი დარჩეს და საქართველო მართლაც დაძაბუნდეს. არადა, როგორც ირკვევა, ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელი, რომელიც არაიშიკისა და პარტიული მაფიის წარმომადგენელია, თავად უწყობს ხელს კოლექტიური სისტემის შენარჩუნებას და ამუხრუჭებს პრივატიზების დაწყებას. თუ რატომ აწყობს მას კოლექტივი, ვფიქრობ, მკითხველი თავადაც მიხვდება: იმიტომ, რომ — ბატონ ჯაბა იოსელიანის თქმისა არ იყოს, — კოლექტივზე უკეთესი დიქტატორული აპარატი ბუნებაში მართლაც არ ყოფილა.

კვლავ გადაუჭრელი რჩება შიდა ქართლის პრობლემა. დროებითი მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის წყალობით ჭერეჭერობით მხოლოდ ის მოხერხდა, რომ ცხინვალის რაიონის ქართულ სოფლებში 19 თებერვალს შესაძლებელი გახდა სურსათ-სანოვაგისა და საწვავის შეტანა. შედარებით მოწესრიგდა ურთიერთობა იქ უკანონოდ მყოფი შინაგანი ჯარის ხელმძღვანელობასთან, რამაც ოსების უკმაყოფილება გამოიწვია.

მიუხედავად ამისა, ვითარება ისევ დაძაბულია. 23 თებერვალს სოფელ თამარაშენში გაურკვეველი პირები შეიჭრნენ, რომლებმაც ჯავშანმანქანებიდან ცეცხლი გაუხსნეს სოფელს და დაცხრილეს სახლები. სოფელ ნიქოზშიც ჰქონდა ადგილი თავდასხმას. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ ყოფილა.

ყველა უბედურებასთან ერთად, რამდენიმე დღის წინ სამაჩაბლოში გამოჩნდა თერთმეტკაციანი ჯგუფი, რომელიც თავს უწოდებს „რუსეთის სამხრეთი საზღვრის დამცველს". როგორც ირკვევა, ისინი საკუთარი თავის რეკლამისთვის არიან ჩამოსული და არა საომრად. მაგრამ, დახეთ ბედის მუხანათობას: როცა ქართველი კაცი ქართული მიწიდან დეევნილია, სოფლები დაცარიელებული და დანგრეული, მაშინ ვიღაც შარახვეტიები იქ მშვიდად დასეირნობენ, „რეკლამირებას" ეწევიან და საქართველოში „რუსეთის სამხრეთ საზღვრებს იცავენ". ამაზე მეტი დაცინვა მელების ასეთი თავაშვებულობა ჩვენი ბედოვლათობის ბრალია, რადგან დღემდე შიდა ქართლი არ იქცა მთელი საქართველოს ფიქრისა და ტკივილის საგნად და ქართველის ცნობიერებიდან ჭერ კიდევ განაპირებულია.

ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ქვეყნის წინსვლის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა ამ ეტაპზე წესრიგის აღდგენა და სტაბილიზაციაა. რასაც, სამწუხაროდ, მხოლოდ შეგონებითა და სიტყვით ვერაფერით მივაღწიეთ, თუმცა მე არც უხეში ძალის გამოყენების მომხრე ვარ. საჭიროა კანონის უზენაესობის აღიარება, როგორც ერთი, ისე მეორე მხარისაგან.

როგორც ცნობილია, თვის მიწურულში კვლავ დაიძაბა სიტუაცია დასავლეთ საქართველოში. თითქმის მთლიანად უმართავია სიტუაცია ზუგდიდის რაიონში. როგორც პოლიტიკურ ორგანიზაციათა ზუგდიდის საკოორდინაციო საბჭო იუწყება (იხ. საქართველოს რესპუბლიკა 22. II — 1992 წ). აქ გაჩერებულია ყველა სამრეწველო საწარმო და დაწესებულება, ყოფილი ხელისუფლების მომხრეები კვლავ მოუწოდებენ მოსახლეობას დაუმორჩილებლობისაკენ, ჭურდობამ და ყაჩაღობამ კატასტროფულ მასშტაბს მიაღწია, რომლებშიც ზოგჯერ ეროვნული გვარდიისა და „მხედრიონის" სამხედრო შენაერთებს მიტმასნილი უღირსი პირებიც მონაწილეობენ, მილიცია უმოქმედოდაა, ცხოვრება პარალიზებულია. არ გამოდის გაზეთი, არ მუშაობს ტელევიზია, ხალხი შიმშილის კიდეზეა მისული... ერთი სიტყვით, სრული ანარქია. საკვირველი ის არის, რომ ამ შემაძრწუნებელი ფაქტების შემდეგ საკოორდინაციო საბჭო გვარდიისა და მხედრიონის გაყვანას და მილიციის შემოყვანას მოითხოვს. როგორც ეტყობა, აქ რაღაც დალპა.

25 თებერვალს, ორკვირიანი შესვენების შემდეგ, პრეზიდენტ გამსახურდიას მიტინგი. სამართალდამცველმა ორგანოებმა ჰაერში სროლით დაშალეს მომიტინგეები, ხოლო აქციის ორგანიზატორები დაიკავეს.

ქვეყნის პოლიტიკური არასტაბილურობის პირდაპირი შედეგია კრიმინალური მდგომარეობის გაძწვავება. უაჩაღობას, ადამიანთა გატაცებას, შინაურისა თუ გარეულის ძარცვა-გლეჯას დასასრული არ უჩანს. ბოლო დროს, როგორც ირკვევა, გამოჩნდა უაჩაღთა ახალი ტიპი, რომლებიც მოსახლეობის სრდაფებიდან სურსათს და კონსერვებს იპარავენ.

უნუგეშოდ მძიმეა ეკონომიკური სურათიც. შიმშილმა და სიღატაკემ მოიცვა ქვეყანა. ამბობენ, რომ გასულ კვირას თბილისში შიმშილით გარდაიცვალა ადამიანი, თუმცა ნათესავებმა ეს ფაქტი თავმოყვარეობის გამო დამალეს. მაგრამ, ალბათ, დასამალიც არაფერია...

კოგა ლიკლიკაძე

კვლავ ვაგზლის მოედანზე

25 თებერვალს, დილის 11 საათზე, მეტროს სადგურ „ვაგზლის მოედნის" შენობაში მიტინგის გასამართად თავი მოიყარეს ყოფილი პრეზიდენტის მხარდამჭერებმა, რომლებიც დღემდე უნდობლობას უცხადებენ დროებით მთავრობას და პროტესტის მეტად საშიშ ფორმებს მიმართავენ. სამხედრო კომენდატურამ, თავის მხრივ, სადგურის მოედანზე თავი მოუყარა მძიმე სამხედრო ტექნიკას, გადაიკეტა მოედანზე შესასვლელი სამანქანო გზები. სადგურის მთელ ტერიტორიას მრავალი შეიარაღებული სამხედრო მოსამსახურე აკონტროლებდა. სამხედროების ამგვარი ღონისძიების მიუხედავად მეტროს შენობაში შეკრებილი ხალხის ნაწილი მოედანზე გამოვიდა. ცდილობდნენ მიტინგის ორგანიზებას. ისმოდა შეურაცხმყოფელი შეძახილები გვარდიელთა მისამართით. აღინიშნებოდა აგრესიული გამოხდომებიც, თუმცა ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. წესრიგის დამცველებმა ძალის გამოუყენებლად მოახერხეს აქ შეკრებილი ხალხის დაშლა.

„ჩვენი მონაცემებით მოსალოდნელი იყო დიდი მიტინგი, — განაცხადა სადგურის კომენდანტმა ვაჟა გოდერძიშვილმა. — გვქონდა ინფორმაცია, რომ გარკვეული ძალები შეეცდებოდნენ ცეცხლი დაეშინათ ხალხისათვის, რათა მიტინგის ცეცხლით დარბევა დაგვბრალებოდა. კომენდატურისა და მილიციის წარმომადგენლებმა ერთობლივად მოვახერხეთ ის, რომ ფაქტიურად, ხალხთან უშუალოდ მიტინგის მოწყობის მცდელობა შეწყდა. თუმცა მოგვიხდა რამდენიმე აგრესიულად განწყობილი მოქალაქის დაპატიმრება მათი ვინაობის გასარკვევად."

უნდა აღინიშნოს, რომ სადგურის მოედანზე მომიტინგეების დაშლის შემდეგ ლანძღვა-გინებით იერიშზე გადასულ მოქალაქეთა საპასუხოდ ისმოდა გამაფრთხილებელი სროლის ხმები. მეტროს შენობაში კი გვიან საღამომდე გრძელდებოდა თავყრილობა და ცხარე კამათი.

ვახტანგ კომახიძე

ᲓᲦᲔᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘᲐ:

ᲐᲒᲠᲔ ᲕᲘᲪᲘᲡ... ᲐᲜᲣ „ᲩᲐᲙ ᲕᲐᲛ ᲜᲐᲓᲝ!"
ᲒᲔ-2 ᲒᲕ.

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲝ, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲐᲒᲔᲑᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ!
ᲒᲔ-4 ᲒᲕ.

ᲔᲩᲣᲝᲑᲐ, ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲑᲜᲔᲚ...
ᲒᲔ-5 ᲒᲕ.

ᲞᲝᲚᲔᲛᲘᲙ... „ᲒᲖᲐ" ᲒᲐᲕᲚᲔᲚᲔᲑᲘᲗ, ᲐᲕᲚᲔᲚ-ᲩᲐᲕᲚᲔᲚᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ... ᲓᲐᲒᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲚᲔᲑᲘᲗ.
ᲒᲔ-5 ᲒᲕ.

ᲮᲛᲐ ᲒᲔᲡᲙᲔ ᲜᲐᲮᲘᲠᲘᲓᲐᲜ: „ᲛᲔ ᲐᲠᲪ ᲑᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲛᲔᲮᲝᲢᲑᲔ ᲕᲐᲠ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲛᲔᲚᲥᲘᲡᲔᲓᲔᲚ ᲞᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲘᲡᲐ..." ᲐᲜᲣ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔ-ᲒᲔᲑᲔᲑᲖᲔ.
ᲮᲐᲚᲮᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲜᲐᲬᲣᲚᲘ
ᲒᲔ-6, ᲒᲔ-7 ᲒᲕ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრე ვიცის...ანუ „ტაკ ვამ ნადო!“

გასული წლის მიწურულს დავტოვე ხანჯლის ფხაზე დაცემული, კურცხალივით ორად გაყოფილი, ბარიკადებიანი, თბილისი და სამაჩაბლოში შევაღწიე. სამაჩაბლოში რაღა შესაღწევი იყო, მკითხავს ზოგიერთი მკითხველი, განსაკუთრებით კი ის, ვისაც სამაჩაბლო და შიდა ქართლი იდენტური ცნებები ჰგონია. განვმარტავ: სამაჩაბლო ჰქვია შიდა ქართლის ზემო ნაწილს, მაჩაბელთა საგვარეულო მამულს დიდი ლიახვის ხეობაში, რომელშიც ახლა ცხრამდე ქართული სოფელი შეყუჟულა (თამარა შენი, ჟურთა, კეხვი,- ქემერტი...). სწორედ ამ ხეობაში მოხახლე ქართველები უწოდებენ თავიანთ თავს სამაჩაბლოელებს, ამაყობენ ამით და სამართლიანადაც.

თითქმის წელიწადია, ხეობა ოსურ-რუსული შეიარაღებული ძალების ალყაშია და დედა საქართველოსაგან მოწყვეტილია. თბილისში მყოფს, მანამდე და მერეც, ბევრისაგან მსმენია, სამაჩაბლოში ვიყავიო. გასული წლის აგვისტოდან არაერთი ქართველი მინახავს სამაჩაბლოში წასავლელად იარაღს რომ ითხოვდა, იღებდა კიდეც და მიდიოდა. სწორედ ამ შეიარაღებულ მებრძოლთა სმრავლემ და მათ შორის სამხედრო პირთა ნაკლებობამ მაფიქრებინა წავსულიყავი და, როგორც პროფესიონალს, მათი ბრძოლისათვის კოორდინაცია გამეწია.

ორმა შეიარაღებულმა თამარაშენელმა ჩამომაკითხა გორში და შევუყევით სოფელ ერედვიდან ხეობაში გადასასვლელ ხიფათიან გზას. „გზას ვამბობ, თორემ რა გზაა...“ მიდიხარ ფოთოლგაცვენილ ტყეში და ნერვები კბილით გიჭირავს. ან ოსურ სოფელ ფრისიდან გადმოსულ ბანდიტებს გადაყრები ან, კიდევ უარესი, რუსული ჯარის ჯავშანტრანსპორტიორებს. გადასასვლელის უმაღლეს წერტილზე ორი დანახშირებული ხის კუნძია. იქვე ღვინისა და არყის ბოთლები და სურსათის ნარჩენებია. ვირო აქ დასწვესო, აუცილებლად გეტყვის გამყოლი. შენც შეჩერდები და ჭუდს მოიხდი უბორცოსავით უშიარი ვაჟკაცის ხსოვნის წინაშე, რომელსაც სახელიც ლამაზი ჰქონდა, გვარიც, პირმშვენიერიც იყო და ტანადიც, მაგრამ ხეობამ, რატომღაც, ვირო შეარქვა.

„ვირო!“ როგორ გააკეთილშობილა ერთი ახალგაზრდა კაცის თავგანწირვამ ეს უხერხული მეტსახელი!

თამარაშენში ღამით შევედით. სოფელში შუქი არ იყო. გზაზე რამდენიმე შუქებგამორთულმა მანქანამ ჩაიარა. სოფელი ცხინვალზეა მიბჯენილი, ქალაქიდან გამოსასვლელში სამხედროების საგუშაგოა და მანქანის შუქზე ცეცხლს ხსნიან ხოლმე — ამიხსნა გამყოლმა. როგორც მერე დავწმუნდი, რუსი წესრიგის დამცველები არც ასანთისა და სიგარეტის ციმციმს სწუნობენ სამიზნედ.

ერთ სტუმართმოყვარე ოჯახში მოვიწვიე ხეობის აქტივი. ათიოდე კაცი შეიკრიბა. ჩემი ჩამოსვლა ადრევე გაეგოთ და გახარებულნი იყვნენ: მთავრობამ ოფიცერი გამოგზავნა და მალე, ალბათ, წერტილი დაესმება ჩვენს წამებასო. საუკეთესო ბიჭები გავიცანი, ნაგვეძნი, მაგრამ გაუტეხელნი. შეჭირვებულნი, მაგრამ ამაყნი. გულქართლნი და სინდის-კოლხნი. ნამდვილი ქართველები. თბილისიდან და სხვა რეგიონებიდან ჩამოსული რაზმები სადა დგანან-მეთქი, ვკითხე. რას ამბობთ, ამ წლის განმავლობაში თქვენ ხართ ერთადერთი პირი დიდი საქართველოდან, ვინც ხეობაში შემრვიდა. სხვა ვინმე, გორის პრეფექტურის ორი თანამშრომლის გარდა, ჩვენ აქ არ გვინახავსო.

აღმოჩნდა, რომ იმ იარაღიდან, ასე უხვად რომ რიგდებოდა საქართველოს უზენაეს საბჭოში, სამაჩაბლოში ერთიც არ შესულა. დავაიმედე, რახანმე გამომგზავნეს, (ჩემი ჩასვლა მთავრობასთან შეთანხმებული იყო), მალე თქვენი დაცვის საკითხსაც დაადგება საშველი-მეთქი. უიმედოდ შემომხედეს. რა გიჭირთ, რა გილხინთ-მეთქი, ვკითხე. პირველ კითხვაზე მოცემულ პასუხს ერთი სრულფორმატიანი გაზეთიც ვერ დაიტევს, ხოლო მეორე კითხვა ისეთი გამომივიდა, დედის კუბოზე დამხობილ კაცს რომ ჰკითხო, რა გაწუხებსო.

რა დასამალია და საქართველოში შიდა პოლიტიკური ბრძოლის დროს სამაჩაბლო ცოტა ვინმეს თუ ახსოვდა. ხეობა შრომობს, ფრჩხილებით კაწრავს მიწას, საიდანაც განდევნას უპირებენ. ვერცერთი სამაჩაბლოელი ვერ გეტყვის, თუ როდის აიღო ბოლო ხელფასი, როდის ჩაბარა სახელმწიფოს ბოლო მოსავალი. მათი ძირითადი შემოსავალი მსხალი და ვაშლია. ამჟამად ხეობაში ოჯახებში ინახება ათი ათას ტონამდე მსხალი და ასი ათას ტონაზე მეტი ვაშლი. მათი გატანა კი შეუძლებელია. არ იფიქრო, მკითხველო, თუ სამაჩაბლოელი ხილს გაყიდის, ვიდეოს იყიდის ან კოოპერატივს გახსნის. ადრე თუ გვიან ეს ფული რუსის ან ოსის ჯიბეში გადაინაცვლებს. პირველისაგან მან იარაღი უნდა იყიდოს, რომ ოჯახი მოძალადისაგან დაიცვას, ხოლო მეორისაგან მძევლად აყვანილი თანამემამულე, ცოცხალი ან მკვდარი, ზღაპრულ ფასად უნდა გამოისყიდოს.

და მაინც იარაღი. იარაღის რაოდენობაზეა დღეს დამოკიდებული მოსავლის აღებაცა და შენარჩუნებაც (მოძალადენი ხშირად მოსავალს სტაცებენ სახლებიდან), ქორწინებაც (ქორწილის დროს ესხმიან თავს), დაკრძალვაც (აქაც ესხმიან) და ახალშობილის დაცვაც. გასულ წელს ხეობაში ოთხი ქართველი დაიბადა. ბედი ჰქონდეთ!

არ უყვართ წუწუნი სამაჩაბლოელებს. ზემდგომ ორგანოებს არ აწუხებენ, მაგრამ ასე ღვთის ანაბარა რომ მიატოვა მშობელმა ერმა, ეს კი უკვირთ. პრესაში სამაჩაბლოზე (დიდი ლიახვის ხეობაზე) თითქმის არაფერი იწერება. მთელი წელიწადი დუმდა ჩვენი „დემოკრატიული“ პრესა. ერთადერთი ჟურნალისტი ახსოვთ, გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ კორესპონდენტი რიტა დოლიძე, რომელიც შარშან ჩასულა და გაზეთში ისე აღუწერია ხეობის ცხოვრება, საქართველოს სხვა რეგიონებიდან მიგრანტების მოზღვავებისა გვეშინიაო, ხუმრობენ...

როგორც მოგახსენეთ, ხეობას სახელდახელო გზა აკავშირებს ერედვთან და აქედან — გორთან. ადრე ეს გზა საიდუმლო იყო, მაგრამ გასული წლის მიწურულს საქართველოს ტელევიზიამდეც მიეღწევია ხმას, ამ გზით შეაქვთ ხეობაში ფქვილი და სურსათიო და მანაც რიხით ამცნო ამის შესახებ ერს. ვერ გაითვალისწინეს, რომ საქართველოში ოსებიც ცხოვრობენ, ოსებმა კიდევ ქართული იციან და მეორე თუ მესამე დღეს დაიწყო თავდასხმები გზაზე, აგრე ვიცის ჯაყომაო, მოაძახეს გაძარცულ ხალხს...

აი, რუსი და უცბოელი ჟურნალისტების ნაკლებობას კი ნამდვილად არ განიცდის შიდა ქართლი. საიდან არ ჩამოდიან ქართველთა მხეცობის შესახებ ფაქტების საძებრად და „პოულობენ“ კიდეც. ჟურნალისტი იყოს ცოტა სინდისთან მწყარალად, თორემ ფაქტს იქვე გამოუცხობს ჩოჩიევის ხალხი. შენც ფაქტს მთხოვ, მკითხველო? ინებეთ: დეკემბერში ცხინვალს ინგლისელი ჟურნალისტი ეწვია რამდენიმე დღით. ბევრი უმტკიცეს ცხინვალელმა ოსებმა ქართველები გვესხმიან თავს, გვხოცავენ, თორემ ახლა მილიონი მაინც ვიქნებოდითო, მაგრამ ვერ დაიჯერეს. რუსი ჟურნალისტი ხომ არ გგონივართ უფაქტებოდ ვწერო, ფაქტი მინდა, ფაქტიო, დაიჩემა ინგლისელმა. ახლავე, ბატონო, უთხრეს და ქართული სოფლის მხრიდან დაუშინეს ტყვიები ცხინვალს, მაგრამ ღონისძიების შეთანხმება რუსის ჯართან დაავიწყდათ და დაისაჯნენ კიდეც. სამხედროებმა საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს „ქართველებს“. ერთი თავდამსხმელი მოჰკლეს, ერთიც — დაჭრეს. ორივე ცხინვალელი ოსი აღმოჩნდა.

კუნაპეტი ღამე იცის დიდი ლიახვის ხეობამ. კუნაპეტი და წყნარი. საღამოობით მოსახლეობა შუქგამორთულ სახლებში შეიმალება ხოლმე და ჩურჩულით საუბრობს, აქაო-და თუ მძევლად ასაყვანად მოვიდნენ, შინ არა ვართო. ჩურჩული ქუჩაში. ჩურჩული სახლში. ჩემს თამარაშენელ მასპინძელს, რომელსაც სიმხდალეში ბრალს ვერაფრით ვერ დასდებ, შენიშვნა მივეცი, არავითარი საფრთხე არ ჩანს და ჩურჩულით რატომ მელაპარაკები-მეთქი. გაეცინა, ასეთ ცხოვრებას რა ვუთხრა, თორემ ჩემს მიწაზე, ჩემსავე ოჯახში საჩურჩულო რა მაქვსო და ისე დასჭყივლა, მგონი, პოლკოვნიკი გორელოვიც გააღვიძა ცხინვალში.

დიახ, წყნარი ღამე იცის სამაჩაბლომ. მხოლოდ საღამოს ათ-თერთმეტ საათამდე. მერე ატყდება ოსური სოფლებიდან: **კვერნეთიდან, ძარიდან, მონასტერიდან** წამოსული რაკეტების ბათქაბუთქი. მოგვიანებით ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლი აწვიმს სოფლებს. ცხინვალიდან კიდევ რუსი ჯარისკაცები, აქა ვართ ძმებო ოსებოო, აკაკანებენ ავტომატებს. ამ დროს მამაკაცები საგუშაგოებზე დგანან, შინ დარჩენილი ქალები კი შიშით აკანკალებულ და ტირილით გადაბერილებულ ბავშვებს ყურებს ხელებით უცობენ და ცდილობენ დაამშვიდონ.

ასეა თითქმის ყოველღამ.

გათენდება თუ არა, მოსახლეობა გზაზე გამოეფინება, ერთმანეთს მოიკითხავენ, გაიგებენ ვინ მოკვდა, ვინ დაიჭრა, ვისი სახლი დაინგრა ან დაიწვა. მერე ეზოების წინ ძელსკამებზე ჩამოსხდებიან და საუბრობენ ომზე, სიდუხჭირეზე, შორ რაიონებში და ქალაქებში გადამალულ შვილებზე და შვილიშვილებზე. მაგრამ ყოველი დღე მ შვიდი როდია ხეობაში. გზაზე სამხედრო მანქანის გამორენისთანავე უნდა მოასწრონ დამალვა. ასეთი შემთხვევაც მქონდა: მზიანი დღე იყო და გვარდიელის ტანსაცმლით ქუჩაში მივალაჯებდი. ჩრდილოეთიდან სამხედრო მანქანა გამოჩნდა. ხალხმა ეზოებში შეირბინა. მეც სადმე უნდა დავმალულიყავი. უცხო ეზოში შესვლას მოვერიდე და მოშორებით, ქუჩაში გამოსული კიბისაკენ გავქანდი ამოსაფარებლად, მაგრამ ბედი არ გინდა? კიბესთან უზარმაზარი ძაღლი ება და საზარლად ყეფდა. იმათ ხელში ჩავარდნას მირჩევნია ძაღლმა დამჭამოს, ცხედარი მაინც არ ეჭნებათ გამოსასყიდი ჩემიანებს-მეთქი, გავიფიქრე და ძაღლთან ჩავცუცქდი. დამინდო ძაღლმა.

დეკემბრის დასაწყისში ჯავის მხრიდან ხეობაში ჯავშანტრანსპორტიორი შემოვიდა, შუა გზაზე გაჩერდა და ნახევარი საათის განმავლობაში უშენდა სახლებს ტყვიამფრქვევის ცეცხლს. აირია სოფელი. ქართველმა რაზმელებმა მანქანის აფეთქება დააპირეს, მაგრამ გადაიფიქრეს — ადრევე მთავრობის ბრძანება გადავეცი, რუსებს არ ესროლოთ-მეთქი. არა და მიდი და გაიგე ჯავშანს შიგნით რუსი ხის თუ ოსი. კიდევაც რომ ჩანდნენ, ვერ გაარჩევ. ერთნაირად აცვიათ, ერთ ენაზე მეტყველებენ, იარაღიც კი ერთი საწყობიდან აქვთ მიღებული. მერე ცხინვალის მხრიდან წამოვიდა სროლით სხვა ჯავშანტრანსპორტიორი, გაჩერებულთან მივიდა, ჩაება და წაიყვანა. თურმე პირველ მანქანას ძრავი გაჰფუჭებოდა და შიშნაჭამი ჯარისკაცი „თავს იცავდა“, თანაც თანამებრძოლებს ატყობინებდა, მიშველეთო.

მეორე დღეს თავი მოვიხიბრე (ხეიბრები ტყვედ არ ამყავთ), ცხინვალის შესასვლელთან სამხედროებთან მივედი და არაყნაყლაპ პრაპორშჩიკს ვკითხე, რა მოხდა გუშინ, გულები რომ დაგვიხეთქეთ-მეთქი.

— „ტაკ ვამ ნადო!“ — მიპასუხა კოლეგამ.

ჰუმანური ბიჭი ჩანდა, ოჯახიშენებული თორემ მეტყოდა უარესი გეკუთვნითო და მართალიც იქნებოდა, ჩემმა მზემ.

15 დეკემბერს სამხედროებმა ცოდვის კალო დაატრიალეს. ჯავშანტრანსპორტიორებით შემოიჭრნენ მძინარე ხეობაში (თუ იქ შეიძლება იძინოს ვინმემ). ავტომატებისა და ჯავშანსაწინააღმდეგო ტყვიამფრქვევების სეტყვა მიუშვეს სოფლებზე. ზოგიერთ სახლთან მანქანებს აჩერებდნენ და ხანგრძლივად, განუწყვეტლივ უშენდნენ. ტყვიებმა გააღწიეს სახლების კედლებში, დახვრიტეს ტელევიზორები, პიანინოები, მაცივრები, ავეჯი.

თამარაშენელების, ქართლოს და ოლენა **დათაშვილების** ოჯახში არაფერი გადარჩენილა მთელი. ქალბატონი ოლენა მცირეწლოვან შვილთან ერთად იწვა ლოგინში (ცოდვაა თქვა, ეძინაო), ტყვიამ ლეიბში გაუარათ, საბედნიეროდ, გადარჩნენ.

ქალბატონ ოლენას ვთხოვე სახლში ხელი არაფრისთვის ეხლო და გორში წავედი, ჟურნალისტების ჩამოსაყვანად, რათა ქვეყანას გაეგო არმიუღი ჰუმანიზმის კიდევ ერთი გამოვლინება. ვერ დავიყოლიე ჟურნალისტები...

არა, ამ ბოლო დროს ნამდვილად არ სწყალობენ ჟურნალისტები, მწერლები და კულტურის მუშაკები სამაჩაბლოს. ადრე თუ სწყალობდნენ? მერე და როგორ!

რამდენიმე წლის უკან ჩვენ ინტელიგენციაში მომწიფდა აზრი თამარაშენში, დიდი ივანე მაჩაბელის სახლში, მისივე მემორიალური მუზეუმის შექმნისა და დაიწყო სამუშაოები. დაადგეს იატაკი, აღადგინეს ოთახები და დარბაზები, დაჰკიდეს ჭაღები და ... ვარდისფერი აგურით ნაშენი სახლის ფასადი რუხი ბეტონის ხსნარით შელესეს. მერე მიხვდნენ რა საშინელებაც ჩაიდინეს, კალატოზები მოიყვანეს და ბეტონის ფენა ჩაქუჩებით ჩამოგლეჯეს. ახლა ალაგ-ალაგ [illegible] აგურის კედლები საბრალო შესახედაობას ანიჭებს სახლს. ეს კიდევ არაფერი, ადგნენ და, დიდი ივანეს წყალი ჩვენს მთარგმნელებსაც იქნებ გადაეცხასო, სახლს უკანა მხრიდან რკინა-ბეტონის სასტუმრო თუ დასასვენებელი სახლი მიაშენეს. დგას ახლა გაძარცული სახლ-მუზეუმი ზურგზე აკიდული რკინა- ბეტონის უშნო ტვირთით და ელის მშველელს, მაგრამ არავინ იცის, ვინ იქნება იგი, მწერალთა კავშირის მთარგმნელობითი კოლეგია, კულტურის სამინისტრო თუ კიდევ სხვა ვინმე.

რა გვეშველება, მწერლებმა რომ ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს მიაშენონ დასასვენებელი სახლი, მხატვრებმა ლადო გუდიაშვილისას, მსახიობებმა კიდევ უშანგი ჩხეიძისას?

ჯერ კიდევ ჩემი იქ ყოფნის დროს მიიღეს სამაჩაბლოელებმა ოს სეპარატისტთა წერილი, რომელშიც წერდნენ, საუკუნეობით ერთად გვიცხოვრია, მოდით შევრიგდეთ და სამაგიეროდ გაერთიანებულ, დამოუკიდებელ ოსურ სახელმწიფოში თქვენ კულტურული ავტონომია გეკნებათო.

მაშა, მაშა! კეთილია ჯაყოი.

ჩვენშიც ბევრს ლაპარაკობენ და წერენ ქართველთა და ოსთა შერიგებაზე. ლამის იქამდე მივიდნენ, რომ მოითხოვონ ქართველმა ერმა ოს ერს ბოდიში მოუხადოსო, ანდა პირიქით. არ შეიძლება ერთ ერს მეორის წინაშე დანაშაული და საბოდიშო ჰქონდეს. ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს. ხომ ქლიტეს რუსებმა და გერმანელებმა ერთმანეთი ოთხი წლის განმავლობაში, მაგრამ თვით ომის წლებშიც და შემდეგაც არა ერთმა რუსმა ტყვემ, სტალინური გულაგით დაშინებულმა, ჰპოვა საცხოვრისი გერმანიაში და გერმანელ მოქალაქესთან ოჯახიც შექმნა.

თუ ვინმეს ვინმესთან ბოდიში აქვს მოსახდელი, ეს ოს ბანდიტს — ქართველ ხალხთან, ქართველ ბანდიტს — ოს ხალხთან, ხოლო ღღეკვანდელ რუსულ არმიასა და დერჟავისტებს — ორივე ხალხთან ერთად.

მაგრამ რუსული ჯარი არც ბოდიშის მოხდას აპირებს და არც შინ წაბრძანებას. მას თავისი, მკვეთრად განსაზღვრული ფუნქციები აქვს შიდა ქართლში. ესაა — არ დაუშვას ქართველთა და ოსთა შერიგება, რაც მათ პლაცდარმს დააკარგვინებს დამოუკიდებლობის გზაზე მდგარ საქართველოში, და მიაღწიოს შიდა ქართლის დაცლას ქართველი მოსახლეობისაგან. მერე კი წინ არაფერი დაუდგება ამ უძველესი ქართული მიწის რსფსრ-დ მონათვლას. აკი უსაყვედურა რუს ოფიცრებს შარშან მოსკოვიდან გორბაჩოვის „სტავკიდან“ ჩამოსულმა **გენერალ-ლეიტენანტმა: ცუდად მუშაობთ, ამხანაგებო, ცუდად, ეს რუსეთის კუთვნილი მიწა ქართველებისგან ვერ დაგიცლია.** ოფიცრებიც უკეთესად ამუშავდნენ და დაიცალა ცხინვალის მიმდებარე ორი ქართული სოფელი **ახალშენი** და **მამისაანთუბანი.** რსფსრ-ს სასზღვრო ნიშანმაც ლამის გორამდე ჩამოიწია, სამხრეთით.

გარდა ამისა, შიდა ქართლში სამსახური მეტად სარფიანია ოფიცრისათვის და ჯარისკაცისათვისაც. იგი იარაღის ბაზარია. თანაც ყოფილი იმპერიის მთელს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარი არსად ისე ლაღად არ გრძნობს თავს, როგორც აქ. აქ არც აზერბაიჯანია, არც სომხეთი და არც ჩეჩნეთი, სადაც შეიძლება ტყვია დაახალონ. მიდი და აწიოკე, ძარცვე, უიარაღო, მორჩილი და დაუცველი ქართველები. სამაგიეროდ, წელიწადი ნამსახური წელიწადნახევრად ჩაგეთვლება, ხელფასიც ნამატით მოგეცემა და სხვა პრივილეგიებიც გექნება. ერთი საფრთხე კია: ერთხელაც შეიძლება გაიკვლოს ქართველის მოთმინების ფიალა, დიდი წინაპრის სიტყვები გაიხსენოს — სჯობს სიცოცხლესა ნაძარახსაო, პირჯვარი გადაიწეროს და... თუმცა მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია, ჯერ საამისო არაფერი ჩანს, ხვალემ კი ხვალისა თქვას.

სამაჩაბლოდან მოულოდნელად ჩამოვედი, 7 იანვარს. არ ვიცი, რას ფიქრობენ ჩემს უეცარ გაუჩინარებაზე. ჩათვალე, რომ სამაჩაბლოში უკვე არავის წარმოვადგენდი. დავბრუნდებიმეთქი, სამაჩაბლოელებს შევუთვალე, მაგრამ დაპირებას ვერ ვასრულებ, რადგანაც ამჟამადაც არავის წარმოვადგენ: დაბრუნებისთანავე დამითხოვეს სამსახურიდან, ყოველგვარი განმარტების გარეშე. „ტაკ ი მნე ნადო!“

პოდპოლკოვნიკი
ილია ბარამიძე



ნახატი ნანატრი ჩიტიშვილისა

ლი?(თუმცა როგორც ირკვევა, არც არავინ ცდილობდა ამას.) და ახლა ასე, პატარა ბავშვივით დატუქსული ქართველი ხალხი დგას თავის შეურაცხმყოფელების წინაშე და იდგება მანამ, სანამ ისინი თავიანთ სურვილებს არ დაიკმაყოფილებენ.

როდესაც ზვიად გამსახურდიას მმართველობისას მთავრობის კაბინეტს სათავეში თენგიზ სიგუა ჩაუყენეს, ქართველმა საზოგადოებრიობამ ეს ფაქტი ძალზე დადებითად აღიქვა, რადგან მიიჩნია, რომ სწორედ ასეთი ტიპის ინტელექტუალური მოღვაწის დეფიციტს განიცდიდა მაშინდელი მთავრობა. ჩვენ არ ვიცით, მათი ურთიერთობის ნიუანსი, მაგრამ გადატრიალების შემდეგ სიგუასაგან გამსახურდიას პიროვნების რამოდენიმეჯერ საჯაროდ აუგად მოხსენიებამ, ისეთივე მანერითა და სტილით, როგორც ამას გამსახურდია აკეთებდა სიგუას მიმართ, ამ უკანასკნელს თავდაჭერილობის რეპუტაცია შეურყია, ხოლო რაც შეეხება იმის თქმას, რომ საქართველოში საყოველთაო სახალხო გადატრიალება მოხდა — ეს წმინდა წყლის ბოლშევიკური სიცრუე გახლდათ. ამის შესახებ დღეს ცოტა ვინმე თუ ლაპარაკობს, მაგრამ საკმარისია რამე შეიცვალოს ერთმანეთს აღარ დააცლიან, ისევე როგორც ამჟამად ერთმანეთს არ აცლიან ზვიად გამსახურდიას განქიქებას. მაგრამ,ის, რაც დღეს ქართული პრესის და ტელევიზიის საშუალებით იფრქვევა სრულიადაც არ ჩამოუვარდება იმას, რის წინააღმდეგაცაა მოწყობილი ეს ჯეროსნული ლაშქრობა?ის განსხვავებით, რომ მაშინ მართლაც არსებობდა რამდენიმე ობიექტური გაზეთი. დევეზი ასეთია: შეიძულეთ ძველი, შეიყვარეთ ახალი.

საქმე იქამდეა მისული, რომ საერთოდ უარყოფენ გამსახურდიას როლს ეროვნული მოძრაობის ისტორიაში. არაზომიერების ისტორიულმა სენმა დაგვრია ხელი და მახსენდება გულიომ რუბრუკვისისა და პლანო კარპინის მიერ აღწერილი მონღოლთა ურდოს ცხოვრება გაუტანლობისა და მლიქვნელობის წრეგადასული ფაქტებით, რომელიც დიდ სულიერ მსგავსებას იჩენს ჩვენს მანკიერ მხარეებთან. ასეა, უკვალოდ არაფერს ჩაუვლია. ჩვენმა ისტორიულმა მამობილებმა მრავალი ცხოვრებისეული სენი დაგვიტოვეს, რომელიც ობიექტურობამ და სიმართლემ უნდა განკურნოს და არა გაუთავებელმა ყბედობამ ევროპული დემოკრატიის შესახებ. განა ჩვენი ჭკუის სასწავლებლად არ ბრძანა ქრისტემ: მიეცეს კეისარს კესრისა და ღმერთს ღმერთისაო. გამსახურდიას მიმართ ბევრი დაუსაბუთებელი, უსახური ბრალდებანი, რომელიც ჩვენი საინფორმაციო საშუალებებიდან იფრქვევა, მათ საზიანოდ მუშაობს, აღიზიანებს ხალხს და მომავლის იმედს უკარგავს. ზოგიერთი ისეა აღტკინებული პრეზიდენტის სიძულვილით, რომ ლამის ნაჯახით ამოჩეხონ, რაც კი მის სახელს უკავშირდება. ასე გასინჯეთ სახელმწიფოს ოფიციალური სიმბოლოების შეცვლასაც კი მოითხოვენ. ნაცვლად იმისა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გზა იქიდან გაგრძელონ მაინც, სადაც გამსახურდია შედგა. ასეთების წინაპრები იყვნენ ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ საძულველ „მეფის დროინდელ ეკლესიებსა“ და სხვა ღირებულებებს რომ აპარტახებდნენ. ტელევიზიის ზოგიერთი კორესპონდენტი პირდაპირ მბრალდებლისა და პროკურორის როლში გვევლინება. და ყოველნაირად აჭარბებენ საკუთარ უფლებებს. ეს ვითარება სიმართლითა და უღრმესი ტაქტიანობით ამბილა ქალბატონმა დოდონა კიზირიამ თავის ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში, მაგრამ ბოღმით დატენილი სულებისათვის განა ტაქტს რაიმე მნიშვნელობა აქვს? სატანა, დიქტატორი, ფაშისტი, შოვინისტი, შეშლილი, მანიაკი, გამცემი, მოღალატე, ვაიმეცნიერი. ერთი კაცისათვის ერთობ ბევრი ხომ არაა? ან იქნებ სიტყვებისათვის პასუხისმგებლობა არავის ეკისრება. თავისთავადაც რა შეუძლია ცარიელ სიტყვას, რომლის ჭეშმარიტებასაც თუ არგუმენტით ვერ დაადასტურებ, მხოლოდ ბოღმისა და დაბალი ინტელექტის საილუსტრაციოდ თუ გამოდგება. ამის შემხედვარე ფიქრობ, რომ საშველი აღარაა. საქმე იქამდე მივიდა, თითქოს საქართველოში ზვიად გამსახურდიას მომხრე აღარ დარჩა, რომელსაც შეეძლებოდეს ბატონი პრეზიდენტის მიმართ სიმპატიები გაამჟღავნოს, ტელევიზიით იქნება ეს, თუ პრესის საშუალებით. არა მგონია ამ ნაცრის თვალებში ყრამ დემოკრატების სახელი დაუგდოს ვინმეს. ობიექტურობა აკლდა ჩვენს საზოგადოებას. ისიც დაუფარავად ეძახდა ყველა მისთვის არასასურველ პიროვნებას კრემლის აგენტს და ესენიც დაუფარავად ანებებენ მას ყველაზე შეურაცხყოფელ ეპითეტებს. იმ განსხვავებით, რომ გამსახურდიას ერთ ადგილზეც არ ამოუ-ჩეხიათ ეროვნული ენა, ეროვნული ტრადიციები, ეროვნული ფასეულობანი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გზა იქიდან გაგრძელონ მაინც, სადაც გამსახურდია შედგა. ასეთების წინაპრები იყვნენ ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ საძულველ „მეფის დროინდელ ეკლესიებსა“ და სხვა ღირებულებებს რომ აპარტახებდნენ. ტელევიზიის ზოგიერთი კორესპონდენტი პირდაპირ მბრალდებლისა და პროკურორის როლში გვევლინება. და ყოველნაირად აჭარბებენ საკუთარ უფლებებს. ეს ვითარება სიმართლითა და უღრმესი ტაქტიანობით ამბილა ქალბატონმა დოდონა კიზირიამ თავის ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში, მაგრამ ბოღმით დატენილი სულებისათვის განა ტაქტს რაიმე მნიშვნელობა აქვს? სატანა, დიქტატორი, ფაშისტი, შოვინისტი, შეშლილი, მანიაკი, გამცემი, მოღალატე, ვაიმეცნიერი. ერთი კაცისათვის ერთობ ბევრი ხომ არაა? ან იქნებ სიტყვებისათვის პასუხისმგებლობა არავის ეკისრება. თავისთავადაც რა შეუძლია ცარიელ სიტყვას, რომლის ჭეშმარიტებასაც თუ არგუმენტით ვერ დაადასტურებ, მხოლოდ ბოღმისა და დაბალი ინტელექტის საილუსტრაციოდ თუ გამოდგება. ამის შემხედვარე ფიქრობ, რომ საშველი აღარაა. საქმე იქამდე მივიდა, თითქოს საქართველოში ზვიად გამსახურდიას მომხრე აღარ დარჩა, რომელსაც შეეძლებოდეს ბატონი პრეზიდენტის მიმართ სიმპატიები გაამჟღავნოს, ტელევიზიით იქნება ეს, თუ პრესის საშუალებით. არა მგონია ამ ნაცრის თვალებში ყრამ დემოკრატების სახელი დაუგდოს ვინმეს. ობიექტურობა აკლდა ჩვენს საზოგადოებას. ისიც დაუფარავად ეძახდა ყველა მისთვის არასასურველ პიროვნებას კრემლის აგენტს და ესენიც დაუფარავად ანებებენ მას ყველაზე შეურაცხყოფელ ეპითეტებს. იმ განსხვავებით, რომ გამსახურდიას ერთ ადგილზეც არ ამოუ-ჩეხიათ ეროვნული ენა, ეროვნული ტრადიციები, ეროვნული ფასეულობანი. ეროვნულ-

რობიზონ თუშურაშვილი — დაბადა **1930** წელს, თბილისში.

1965 წლიდან მუშაობს შინაგან საქმეთა ორგანოებში.

1991 წლის 28 აგვისტოს მიენიჭა მილიციის გენერალ-მაიორის წოდება.

29 აგვისტოს კი გაანთავისუფლეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან.

1992 წლის იანვარში აღდგენილი იქნა აღნიშნულ თანამდებობაზე.

— ბატონო რობიზონ, 2 სექტემბერს, თბილისში გამართულ მიტინგთან დაკავშირებით წინსწარ თუ გქონდათ რაიმე ინფორმაცია?

— ყოველი კვირის ერთსა და იმავე დღეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები და მათი მომხრეები საინფორმაციო ხასიათის მიტინგებს ატარებდნენ. მიტინგების მიმდინარეობის დროს ადგილი არ ჰქონია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას, ხალხთა დაპირისპირებას, ან რაიმე ისეთ მოქმედებას, რომელსაც მილიციის მხრიდან საჭირო სათანადო რეაგირება უნდა მოჰყოლოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში გვქონდა ინფორმაცია იმ მიტინგის შესახებ, რომელიც 2 სექტემბერს უნდა გამართულიყო.

25-26 აგვისტოს შედგა საუბარი ამ თაყვრილობის დარბევის თაობაზე. სამინისტროს ხელმძღვანელობის რამდენიმე წარმომადგენელი ამ აზრს არ დავეთანხმეთ, ვინაიდან არასანქცირებული მიტინგის გამართვისათვის კანონი ითვალისწინებს ფულადი ჯარიმის გადახდას. მშვიდობიანობის პერიოდში შეკრებილი ხალხის ძალის გამოყენებით დაშლა ყველანაირი კანონის საფუძველზე უკანონობას წარმოადგენს.

ბრძანება ჩემი გათავისუფლების თაობაზე 29 აგვისტოს დაიწერა. გამოსამშვიდობებლად მოსული ქალაქის სამართ ბევრი დაუსაბუთებელი, უსახური ბრალდებანი, რომელიც ჩვენი საინფორმაციო საშუალებებიდან იფრქვევა, მათ საზიანოდ მუშაობს, აღიზიანებს ხალხს და მომავლის იმედს უკარგავს. ზოგიერთი ისეა აღტკინებული პრეზიდენტის სიძულვილით, რომ ლამის ნაჯახით ამოჩეხონ, რაც კი მის სახელს უკავშირდება. ასე გასინჯეთ სახელმწიფოს ოფიციალური სიმბოლოების შეცვლასაც კი მოითხოვენ. ნაცვლად იმისა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გზა იქიდან გაგრძელონ მაინც, სადაც გამსახურდია შედგა. ასეთების წინაპრები იყვნენ ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ საძულველ „მეფის დროინდელ ეკლესიებსა“ და სხვა ღირებულებებს რომ აპარტახებდნენ. ტელევიზიის ზოგიერთი კორესპონდენტი პირდაპირ მბრალდებლისა და პროკურორის როლში გვევლინება. და ყოველნაირად აჭარბებენ საკუთარ უფლებებს. ეს ვითარება სიმართლითა და უღრმესი ტაქტიანობით ამბილა ქალბატონმა დოდონა კიზირიამ თავის ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში, მაგრამ ბოღმით დატენილი სულებისათვის განა ტაქტს რაიმე მნიშვნელობა აქვს? სატანა, დიქტატორი, ფაშისტი, შოვინისტი, შეშლილი, მანიაკი, გამცემი, მოღალატე, ვაიმეცნიერი. ერთი კაცისათვის ერთობ ბევრი ხომ არაა? ან იქნებ სიტყვებისათვის პასუხისმგებლობა არავის ეკისრება. თავისთავადაც რა შეუძლია ცარიელ სიტყვას, რომლის ჭეშმარიტებასაც თუ არგუმენტით ვერ დაადასტურებ, მხოლოდ ბოღმისა და დაბალი ინტელექტის საილუსტრაციოდ თუ გამოდგება. ამის შემხედვარე ფიქრობ, რომ საშველი აღარაა. საქმე იქამდე მივიდა, თითქოს საქართველოში ზვიად გამსახურდიას მომხრე აღარ დარჩა, რომელსაც შეეძლებოდეს ბატონი პრეზიდენტის მიმართ სიმპატიები გაამჟღავნოს, ტელევიზიით იქნება ეს, თუ პრესის საშუალებით. არა მგონია ამ ნაცრის თვალებში ყრამ დემოკრატების სახელი დაუგდოს ვინმეს. ობიექტურობა აკლდა ჩვენს საზოგადოებას. ისიც დაუფარავად ეძახდა ყველა მისთვის არასასურველ პიროვნებას კრემლის აგენტს და ესენიც დაუფარავად ანებებენ მას ყველაზე შეურაცხყოფელ ეპითეტებს. იმ განსხვავებით, რომ გამსახურდიას ერთ ადგილზეც არ ამოუ-ჩეხიათ ეროვნული ენა, ეროვნული ტრადიციები, ეროვნული ფასეულობანი. ეროვნულ-

ვინ გასცა ბრძანება?

(ინტერვიუ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილესთან ბატონ რობიზონ თუშურაშვილთან)

მმართველოს ხელმძღვანელობას 31 აგვისტოს შევხვდი. საუბრის დროს გაირკვა, რომ მათ უკვე მიღებული ჰქონდათ კატეგორიული მითითება 2 სექტემბრის მიტინგის დარბევის თაობაზე. დღეს უკვე დასამალი აღარ არის, ეს ბრძანება გაცემული იქნა რესპუბლიკის ყოფილი ხელისუფლების მიერ.

— სამსახურიდან გათავისუფლება თქვენს მიერ გამოხატული პროტესტის მიმნიშნებელია, თუ ყოფილი ხელმძღვანელობის სურვილი?

— ყოფილი ხელისუფლება აგვისტოს დასაწყისიდან ოპოზიციის წინააღმდეგ შეტევაზე გადასასვლელად ემზადებოდა. ბრძანების განსახორციელებლად შემსრულებელი სჭირდებოდათ. იცოდნენ, მონა-შემსრულებლად ვერ გამოვდგებოდი. საჭირო გახდა ჩემი მოშორება. შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილმა მინისტრმა ასეთი ახსნა-განმარტება მომცა: თითქოს პრეზიდენტთან ვიღაცამ ჩამიშვა იმის გამო,რომ ჩემი ნათესავები ოპოზიციონერები იყვნენ. ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა კი მასალების მოპოვება ჩემი განთავისუფლების თაობაზე, დაიწყო ბრძანებაზე ხელმოწერის შემდეგ...

— ბატონო რობიზონ, თავის დროზე საზოგადოება აღაშფოთა მიტინგების ძალით გამოყენებით დარბევამ. ამის თაობაზე ხალხი დღესაც უკმაყოფილებას გამოთქვამს.

— საგანგებო წესებს თავისი კანონები და მოქმედების ნორმები გააჩნიათ. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში, გარკვეული პერიოდის მანძილზე დემოკრატიული ინსტიტუტები უქმდება. ასეთ დროს მიტინგის, თავყრილობის, ან მსვლელობის გამართვა კანონით აკრძალულია. ვწუხვარ, რომ ამის არგაგება ამდენ საშინელებას იწვევს.

სამოქალაქო მშვიდობის დროს მილიციის სპეციალური ძალების გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანთა მსხვერპლის, შენობების დაზიანებისა და სახელმწიფო ზარალის საშიშროება არსებობს. საგანგებო ძალები იღებენ გადაწყვეტილებას ამ პროცესების შესაჩერებლად.

— ძმათამკვლელი ომის პერიოდში სად იმყოფებოდა ყოფილი მინისტრი?

— დეკემბერ-იანვრის თვეში მიმდინარე მოვლენების დროს შინაგან საქმეთა სამინისტროში აღარ ვმუშაობდი. გადმოცემით ვიცი, რომ რამდენიმე დღით ადრე, ვიდრე პრეზიდენტი გაიქცეოდა, სამინისტროს შენობიდან უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბუნკერში გადავიდა.

— კომუნისტური რეჟიმის დროს ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლთა მიმართ ძალისმიერი მეთოდების გამოყენების შემდეგ, კრიტიკულ სიტუაციაში მილიციამ სიმართლის გზა აირჩია. ჯულის ხმობის 9 აპრილს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში კვლავ დაბლა დაეცა მილიციელის რეიტინგი. დეკემბერ-იანვრის თვეში მიმდინარე მოვლენების დროს კი ძმათა მკვლელ ომში შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა ჩაურევლობამ ზედმეტი სისხლისღვრა აგვაცილა.

როგორ ფიქრობთ, გარკვეულ მომენტში მილიციის მოსამსახურეთა პოზიციისა და შესაბამისად, მოქმედებების ცვლილება რით არის განპირობებული?

— მილიცია წლების განმავლობაში ასრულებდა ისეთ ფუნქციებს, რომლებსაც ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობებთან საერთო არაფერი გააჩნდათ. როდესაც ეროვნულმა მოძრაობამ ფართო მასშტაბი მიიღო, მილიციის თანამშრომლები დაბნეულნი აღმოჩდნენ. საბედნიეროდ, ეს პროცესი დიდხანს არ გაგრძელებულა. მილიცია დროზე მოეგო გონს. ჩაიხედა კანონებში, ნახა რისი უფლება ჰქონდა და რისი არა. სამწუხაროდ, ყოფილი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, მილიციამ დაიწყო ამ მეთოდების აღდგენა, რომლებიც უკვე 9 აპრილამდე უარყო. თქვენ წარმოიდგინეთ, კონფლიქტში თანამშრომელთა გარკვეული ნაწილი მაინც იქნა გამოყენებული. ზოგიერთი ხელმძღვანელის ხელისუფალთა მიმართ გამოჩენილმა მონურმა მორჩილებამ ბევრი უიარაღო მილიციელის სიცოცხლე შეიწირა. მინდა მოგახსენოთ, რომ მილიცია თავისი სტრუქტურით, მდგომარეობითა და მომზადების დონით მსგავსი საომარი მოქმედებისათვის მზად არ არის.

ესაუბრა

ანანო კლდიაშვილი

ჟურნალისტები და ხელისუფალნი

დემოკრატიულ ქვეყნებში ჟურნალისტის პროფესია ერთ-ერთ ყველაზე საპატიო და ანგარიშგასაწევ პროფესიად ითვლება. თავად განსაჯეთ: ცნობილი ვაშინგტონელი პუბლიცისტი მარკუზ ჩაილზი წერს: გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტს ჭეიმს რესტონს ისეთივე პოლიტიკური წონა აქვს, როგორც შეერთებული შტატების სამ სენატორს ერთად აღებულსო. კარლ მეიერი კიდევ უფრო შორს მიდის და აღნიშნავს, რომ რესტონის რანგის მიმომხილველს აშკარა უპირატესობა აქვს სენატორებთან შედარებით. კონგრესის წევრს ირჩევენ, ხოლო ჟურნალისტი ბრიტანეთის ლორდთა პალატის წარმომადგენელივით მარადიულიაო.

დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში ნებისმიერი გაზეთის კარი ღიაა ჟურნალისტისთვის. მათი გავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე იმდენად ძლიერია, რომ ჟურნალისტებს „ფიქრთა მპყრობელებსაც“ კი ეძახიან.

კარლ მაიერი მახვილგონივრულად შენიშნავს, „ჟურნალისტის საგაზეთო სვეტი ასოცირდება სამრეკლოსთან, საიდანაც პუბლიცისტი ისევე მიმართავს ხალხს, როგორც მეხუთე საუკუნის სირიელი წმინდანი სვიმეონ მესვეტე, რომელიც 30 წელიწადი ქადაგებდა თავის სამრეკლოდანო“.

ჩვენს პროზაულ საუკუნეში, ამ ჟანრის აღიარებული ოსტატები, უპირატესად, „პოლიტიკურ თამაშებში“ არიან ჩაბმულნი და ზოგჯერ გადამწყვეტ სიტყვასაც ამბობენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამერიკაში მათი გავლენა იმდენად დიდია, რომ პრეზიდენტებს ზოგჯერ მთელი თავისი დიპლომატიური ნიჭის გამოყენება სჭირდებათ, რათა „ძრისხანე“ ჟურნალისტების კეთილგანწყობა დაიმსახურონ.

თანამედროვე პრეზიდენტთაგან ყველაზე მეტად ლინდონ ჯონსონი იყო „დატანჯული“ ჟურნალისტებისაგან.

1964 წელს თეთრ სახლში პრესკონფერენციაზე მისულ უამრავ რეპორტიორთა შორის ჯონსონმა თვალი მოჰკრა ვოლტერ ლიპმანს. პრეზიდენტი მივარდა ჟურნალისტს, მაგრად ჩამოართვა ხელი და საზეიმოდ განაცხადა: „აი მსოფლიოს უდიდესი ჟურნალისტი, და იგი ჩემი მეგობარია“.

ამ სიტყვებს ირგვლივ მყოფთაგან არავინ გაუკვირვებია, რადგან თეოდორ რუზველტიდან მოყოლებული ყველა პრეზიდენტი ცდილობდა ლიპმანის უურადღების დამსახურებას. მისი საგაზეთო სვეტი რუბრიკით „დღეს და ხვალ“ კვირაში სამჯერ, ერთდროულად **200**-ზე მეტ გაზეთში გამოდიოდა. მის სტატიებს კითხულობდა და აანალიზებდა მთელი ამერიკის გავლენიანი ელიტა, ვერც ერთი პრეზიდენტი გვერდს ვერ აუვლიდა ცნობილი ჟურნალისტის მოსაზრებებს. ლიპმანს თითქმის **36** წელი ედო ხელი თეთრი სახლის მაჯაზე და ყოველთვის თითქმის სწორ დიაგნოზს სვამდა, მიუხედავად იმისა მოსწონდათ თუ არა თეთრი სახლის მესვეურთ ეს. სწორედ ამიტომ, ლიპმანს სამართლიანად უჭირავს საგაზეთო მიმომხილველთა იერარქიაში რომის პაპის ადგილი.

1958 წელს ნიკიტა ხრუშჩოვმა უარალში, თავის სანადირო ვილაში მიიწვია ლიპმანი და მისი ცოლი ელენი. საბჭოთა ლიდერი იმედოვნებდა, რომ ჟურნალისტთან ერთად გამოწაზავდა გამოსავალს „ცივი ომის“(ლიპმანის ტერმინია) გაჭიანურებული კრიზისიდან.

ლიპმანსა და პრეზიდენტ ჯონსონს შორის კეთილი ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა. განხეთქილებამ თავი იჩინა ვიეტნამის საკითხში. კონსერვატიული შეხედულებების ჟურნალისტი უარყოფითად აფასებდა თეთრი სახლის პოლიტიკას და წინააღმდეგი იყო საომარი მოქმედებების დაწყებისა ვიეტნამში. მან სასტიკად გააკრიტიკა პრეზიდენტ ჯონსონის აკვიატებული იდეა „მსოფლიო წესრიგის დამყარების“ თაობაზე. უფსკრული დღითიდღე იზრდებოდა და ლიპმანიც იძულებული გახდა დაეტოვებინა ამერიკა, სადაც ჟურნალისტისა და პრეზიდენტის ერთად ყოფნა შეუძლებელი გახდა. ვოლტერ ლიპმანის გარდა შეერთებული შტატების უმაღლეს ეშელონებში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა მისი ძველი მეტოქე იოზეფ ოლსოპი.

ლიპმანისაგან განსხვავებით იგი მხარს უჭერდა საომარი მოქმედებების დაწყებას ინდოჩინეთში. ჟურნალისტი განუწყვეტლივ ჩასჩიჩინებდა პრეზიდენტებს ეკისრათ მსოფლიო წესრიგის დამცველთა როლი. ამასთან დაკავშირებით არსებობს ერთი ასეთი ფაქტი: როცა ბრძანება გასცა **50 000** ჯარისკაცი გაეგზავნა გოგანტაში, პრეზიდენტმა ჯონსონმა შენიშნა: „ვიმედოვნებ, რომ ეს ცოტა ხნით მაინც დააშოშმინებს ჯო ოლსოპსო“.

ოლსოპი კულისებში იცნობდა შეერთებული შტატების ადმინისტრაციის პოლიტიკას. ამაში მას დიდ დახმარებას უწევდა სენატორ ჯორჯ კენედის მეგობრობა, რომელიც ამ დაუცხრომელი ჟურნალისტის გავლენას განიცდიდა. სწორედ ოლსოპმა დაარწმუნა კენედი, თითქოს აშშ შორს ჩამორჩა საბჭოთა კავშირს საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების წარმოების მხრივ, რაც სასიკვდილო საშიშროებას გვიქადისო. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი დუაიტ ეიზენჰაუერი გადაჭარბებულად მიიჩნევდა ჟურნალისტის ამგვარ სიფრთხილეს, ოლსოპის აზრმა გაიმარჯვა. დაიწყო გამალებული შეიარაღება, რომელიც მალე მთელ მსოფლიოს მოედო.

მხოლოდ **1961** წელს დარწმუნდა კენედი ეიზენჰაუერის სიმართლეში, მაგრამ თავაწყვეტილი შეიარაღების შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო.

ასეთი მაგალითები ამერიკის ჟურნალისტიკის ისტორიაში მრავლად მოიპოვება, მაგრამ ზემოთქმულიც ცხადყოფს, თუ რა დიდი ძალა და გავლენა აქვთ ჟურნალისტებს დემოკრატიული ქვეყნების უმაღლეს ხელისუფლებებზე და, აქედან გამომდინარე, მსოფლიო პოლიტიკის მსვლელობაზეც.

მოამზადა
სანდრო იმერმა

როგორ ვებრძოლოთ ჯადოქრებს?

კიევ-პეჩორის მონასტრის მონაზვნები, ალბათ, მწყრალად იყვნენ პოლიტიკურ დისციპლინებთან, როცა ადგენდნენ ხელნაწერ სარეკომენდაციო წიგნს „როგორ ვებრძოლოთ ჯადოქრებს?“. მე-18-ე საუკუნის პირველ ნახევარში მათ აღწერეს ქ.კიევის სატანისეული ადგილები, მათ შორის კიევის ღირშესანიშნაობანი- მოშიშვლებული მთები, ბათუს მთა და სხვები. მაგრამ ყველაზე „შავ“ და „სატანისეულ“ ადგილად ითვლებოდა მცირე მოშიშვლებული მთა ახლანდელი ფუნიკულიორის სადგურის მახლობლად, სადაც, ბოლო დრომდე, იდგა პომპეზური შენობა, რომელშიც მოთავსებული იყო უკრაინის კომპარტიის კიევის საქალაქო კომიტეტი და უკრაინის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი. იქნებ, ეს ამბავი უბრალო დამთხვევა არაა.

უცნაური კანონები

მისურის შტატში მეხანძრეებს არა აქვთ უფლება ქუჩებში იაორონ ქვედა საცვლებით. ინდიანაში კი კაცს, რომელიც ხახვს შეჭამს, ორი საათის განმავლობაში ეკრძალება საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა. მონტანას შტატში დაპატიმრება ემუქრება იმათ, ვინც ავტობუსის ფანჯრიდან გამოაჯავრებს გამვლელებს. მაგრამ, ყველაზე კურიოზული და უცნაური კანონი არსებობს კალიფორნიაში. აქ თაგვის ხაფანგს ისე ვერ იყიდი, თუ პოლიციის ნებართვა არ აიღე.

რატომ დადის გორბაჩოვი სასაფლაოზე?

მოსკოვის ნოვოდევიჩიეს მემორიალური სასაფლაოს მცველთა სიტყვებით, ამ სასაფლაოს თვეში ერთხელ ან ორჯერ სტუმრობს მიხეილ გორბაჩოვი. იგი ხანდახან მეუღლესთან ერთად, ზოგჯერ ქალიშვილთან, მაგრამ უფრო ხშირად შვილიშვილთან ერთად მოდის აქ.

თუ ყოფილი პრეზიდენტი მარტოა, იგი აქ ორ საათზე მეტხანს არ რჩება, ზის ყოფილი „ბელადების“ საფლავებთან ან ბოლთას სცემს საფლავებს შორის. ამ დროს სასაფლაოს ტერიტორიაზე უშვებენ მხოლოდ დაკრძალულთა ნათესავებსა და ახლობლებს და იმათ, ვისაც გააჩნია სპეციალური ნებართვა, რომელიც მთავრდება ნომრით — 8439. გორბაჩოვის დაცვის მოთხოვნით, ამ დროს მოსკოვის საექსკურსიო ბიურო წყვეტს ყოველნაირ ექსკურსიებს სასაფლაოზე, ხოლო ცალკეულ, „პარტიზანული“ წესით სასაფლაოს ტერიტორიაზე მოხვედრილ ცნობისმოყვარეებს გორბაჩოვის დაცვა აკავებს და კულტურულად (რაც ყოველთვის არ ხერხდება) აძევებს სასაფლაოს ტერიტორიიდან. თურმე ერთმა ასეთმა მოხერხებულმა ცნობისმოყვარემ გაბედა და ექს-პრეზიდენტს პირდაპირ ჰკითხა, აქ თქვენთვის ადგილს ხომ არ ირჩევთო, რაზეც ყოფილ პრეზიდენტს უპასუხია, რომ ანდერძის თანახმად მას დაასაფლავებენ სტავროპოლის მხარეში, მშობლიურ სოფელში.

სურნელოვანი მაღვიძარა

იაპონელი მუშები და მოსამსახურეები მალე მიიღებენ თავიანთ განკარგულებაში შრომის ნაყოფიერების ამაღლების უებარ საშუალებასსურნელებას. ცოტა ციტრუსის სურნელი დილით და ყვავილების არომატი დღის განმავლობაში მოეხმარება მათ „იყვნენ ფორმაში“ და საუკეთესო შედეგები მიიღონ თავიანთ სამუშაო ადგილებზე.

იაპონიის ერთ-ერთი უდიდესი კოსმეტიკური კომპანიის „სისეიდოს“ მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ სხვადასხვა სურნელი სხვადასხვანაირად მოქმედებს ადამიანის მდგომარეობაზე. მაგალითად, ვარდისა და ლავანდის სურნელი დამამშვიდებლად მოქმედებს, ხოლო ლიმონისა და სხვა ციტრუსების სურნელი კი ადამიანის ორგანიზმის სტიმულირებას ახდენს. ჟასმინი ბრწყინვალედ ხსნის სტრესებს, პიტნა კი უძილობის უებარი წამალია.

იმათთვის კი, ვისაც უჭირს დილით ადგომა, იაპონელებმა გამოიგონეს სურნელოვანი მაღვიძარა, რომელიც დათქმულ დროს ანანასისა და ევკალიპტის სურნელით ავსებს ოთახს და ყველა სხვა საშუალებაზე უკეთ წამოაგდებს ფეხზე ძილისგუდას.

მოამზადა
სერგო რუხელმა

„გზა“ გამვლელებით, ამვლელ-ჩამვლელებითა და ... დამკვირვებლებით!

(დასაწყისი მე-5 გვ.)

არ არის სეერო, რომელსაც ზედმიწევნით არ იხილავდეს ბატონი ვახტანგ ხარჩილავა პროვინციის ტროგზმიდან „სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმამდე“. ბოლოს კი ალწერს ჩვენს თვალწინ განვლილ პროცესებს მთლიანად საბჭოთა კავშირის (ყოფილს ვერ ვაშობ-საზღვრებიუცვლელი უსაბჭოებოდ-მაგ) ტერიტორიაზე

„ის რაც საქართველოში მოხდა, მოხდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა სხვა რესპუბლიკაშიც და ამდენად, საქართველოში მომხდარი ძვრები განპირობებულია იმ პროცესებით, რაც საერთოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა და მიმდინარეობს“-ო — ბრძანებს ავტორი და არც სცდება. განა ამს არ გაჩკოდაავტორისმიერბრძოლებში მოსსენებულიერთიერთული მოძრაობა ჯერ კიდევ მაშინ, როცა 28 ოქტომბრის არჩევნები ფეხებზეოდ?

„გზა“ რომ მთლიანად გაგიზროთ ავტორისეულად, საკრიტიკო ერთი გულისტკივილიანი ფრაზა — „ჩვენ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამდით, თავდანვე თუ არ იყო სცენარში მოხაზულიო“ და დასძენს — „აი, რას შეეწირა ჩვენი ენერგია...“. ვინმეს ჰკერა, რომ „სცენარის ავტორი“ წარსულს ჩაბარდა ჩვენს „შეცდომებთან“ ერთად?!

რა ხდება ავტორის აზრით დღეს?

„დამოუკიდებლობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ პოლიტიკური ორგანიზაციების ამბიციური ვნებათაღელვით სავსე ბრძოლამ და დაპირისპირებამ საქართველო შეიძლება სამუდამოდ დაღუპოს... ჩემი აზრით, იმ პრიმიტიული ქადაგებებისა და ცრუწინასწარმეტყველების, ფუჭი სიტყვების, არაფრისმომტანი დებატების ნაცვლად საქართველოს ინტელექტუალურმა და პოლიტიკურმა ძალებმა რაც შეიძლება დროზე უნდა ჩამოაყალიბონ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების კონცეფცია“ — ეს აბზაცი იმდენად ეხმიანება ყოფილი ხელისუფლების ზეობის ბოლო პერიოდს, იმდენად არ ესადაგება არსებულ ვითარებას, რომ, მომიტევოს ავტორმა და იმ დროს ნაზრევი გამოუქვეყნებელი წერილის მექანიკური გადმოაზრება მგონია, ვიდრე დღევანდელი იმპულსი, რადგან დღეს პარტიები შეთანხმებულნი მოქმედებენ და ამას ხარჩილავა უნდა ხედავდეს!...

„ჩვენ ნათლად უნდა განვცხადოთ თუ როგორ, რანაირად უნდა დავჭიროთ ჩვენი კეთილი ადგილი ცივილიზებული მსოფლიოს ქვეყნების თანავრსკლავდში.

ალბათ დროა, მოვუშვათ საქართველოს გათავისუფლების და დამოუკიდებლობის უკეთილშობილესი იდეით სპეკულაციას, ხალხის მოტყუების მცდელობას.

– ისტორია კვლავ განმეორდა.

– ჭეშეკა ჩოლოყაშვილს გზამ კიდევ ერთხელ მიგვიყვანა უფსკრულამდე.

საქართველომ დღეს ახალი გზა უნდა ეძებოს“ აი, ამით ამთავრებს ბატონი ხარჩილავა თავის სათქმელს და ეს ის მეორე გზაა, ზემოთ რომ მოგახსენეთ, გასავლელი! მართალია ავტორი ხშირად ეროვნულ ძალებში ხან მხოლოდ ყოფილ ხელისუფლებას გულისხმობს, ხანაც ყველას ერთად, ცოტა წინააღმდეგობრივადაც თავისი თავის მიმართ, მაგრამ გზა ხომ მართლა გასავლელი გვაქვს ყველას!

ბატონი ვახტანგი ზედმიწევნით ზუსტად შეგვახსენებს რა უნდა გაკეთდეს მომავალში, სამომავლოდ. აი, როგორ — ამას კი ალარ გვეუბნება!

როგორც ჩანს, იგი ამ სათქმელსაც იტყვის მხოლოდ მას შემდეგ, როცა ურემი კვლავ გადაბრუნდება.

როცა ისევ მოვა სხვა ხელისუფალი, მაშინ ვახარჩილავ დღევანდელ შეცდომებზეც ვრცლად იმსჯელებს.

ეს კი მოგზაურთა და დამკვირვებელთა როლში გვყენებს. ჩვენ ჩვენი ერის დღევანდელობა დღესვე უნდა ვეტკოდეს.

ვინც გზას გადის და ტვირთს გვიმსუბუქებს, მთი ქმედების ანალიზი განვლილი გზის შემდეგ იოლი საქმეა. კვალი კი უჩვენოდ არ უნდა გაგაკვიდეთ ბატონო ვახტანგ, იმ კვალს ჩაუდექეთ და მაშინ თქვენი სიტყვაც თავისთავად ნიჭიერად თქმული უფრო სარწმუნო გახდება...

ეგებ ზედმიწევნით უშეცდომოდ და უნაკლოდ აკეთებს თავის საკეთებელს დღევანდელი დროებითი ხელისუფლება და დღესვე მისანიშნებელი არაფერი აქვს არც პოლიტიკაში, არც ეკონომიკაში და არც ყოფაში?

მეისტორიეს მანტიას ნაადრევად ნუ მოვისხამთ!

მაყვალა ჩახვაშვილი

საქართველოს დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, საქართველოს ეროვნული კონგრესის წევრი.



ინდექსი 66447

ფასი 2 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 35 ტელ. 22-16-01
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი